



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 146/13

### 1. ფაქტები

ი.ბ-სა და ნ.ბ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა იურიდიული კონსულტაციის გაწევა და დოკუმენტაციის მომზადება მიწის დავებთან დაკავშირებით, მომსახურების საფასური იყო 1 000 (ათასი) ლარი. რომელიც საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადაურიცხა. თანხის გადარიცხვის შემდეგ ადვოკატმა გაუწია იურიდიული მომსახურება და შეადგინა განცხადებები შესაბამის ორგანოებში წარსადგენად.

### 2. პროცესუალური ისტორია

2013 წლის 27 ნოემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ.ბ-მ და მოითხოვა ადვოკატ ი.ბ-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და თანხის გადახდის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ი. ბ-ის მიმართ. მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ შეისწავლა მხარეების მიერ წარმოდგენილი მასალები და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ი. ბ-ის მიერ დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

### 3. სამართლებრივი ანალიზი

შეესაბამებოდა თუ არა ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს? ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილით, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ, კლიენტს გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შეუდგინა მიწების დავასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და განცხადებები. ადვოკატის ვალდებულება შემოიფარგლებოდა წერილობითი დოკუმენტაციის მომზადებით. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მხოლოდ ხუთი წერილი დაუწერა და სწორედ ამიტომ, მიღებული ჰონორარი არ არის შესრულებული სამუშაოს შესაბამისი. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორმა ხელშეკრულებაზე ხელმოწერით გამოხატა თანხმობა ხელშეკრულების პირობებზე და ჰონორარის ოდენობაზე. საჩივრის ავტორმა დაადასტურა, რომ ხელშეკრულებაში მითითებული მომსახურების საგანთან დაკავშირებით ადვოკატმა გასწია მომსახურება. კლიენტმა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით გამოხატა ნება დათანხმებოდა ხელშეკრულების არსებით პირობებს. ეთიკის კომისია მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატის მიერ შესრულებული მოქმედებები შეესაბამებოდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

ადვოკატ ი. ბ-ს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.